ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3743110

ნომერი: AR1562852

თარიღი : 06.12.2017

გაცემის თარიღი : 20.12.2017

გაცნობის თარიღი : 20.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ევდოშვილის ქუჩა N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე მაზმიშვილი პ/ნ 43001039319
- ქარელი ს. დირბი მე–15 I შეს. N 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 6 დეკემბრის #AR1562852 განცხადებით მომართა შპს „ევდოს“ დირექტორმა კონსტანტინე მაზმიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ევდოშვილის ქუჩის N6-ში საკადასტრო კოდი: #01.13.06.011.073; მიწის ნაკვეთის ფართობი: 306 კვ.მ.), მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სამსახურის 2015 წლის 4 სექტემბრის №2167025 ბრძანებით, ცვლილება შევიდა აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: სასტუმრო.
სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის № 3297059 ბრძანებით კი ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: მრავალფუნქციური ობიექტი (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი).
სამსახურის 2016 წლის 11 მაისის №2590023 ბრძანებით, ქ. თბილისში, ევდოშვილის ქუჩა N6, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.06.011.073), შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 2016 წლის 30 ივნისის №2684060 ბრძანებით, სასტუმროს შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2016 წლის 29 ივნისიდან 2017 წლის 29 ივნისის ჩათვლით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 7 მარტის #1-375 ბრძანებით, ქ. თბილისში, ელდოშვილის ქ. #6-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (ს.კ.#01.13.06.011.073), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ1=0,7, კ2=4,7.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად მრავალფუნქციური ობიექტის (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) ნაცვლად დაფიქსირდეს სასტუმრო, რაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: სასტუმრო;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი: „მოეწყოს ბინების შესაბამისი რაოდენობის დახურული ან ღია ავტოსადგომები, რომლებიც უნდა განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტროს საზღვრებში;“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის11 სექტემბრის №1464514 გადაწყვეტილებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.